დანართი №1

დამტკიცებულია
შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“
დირექტორის 202-- წლის ---- ---------
№------- ბრძანებით

შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების წესი.

პრეამბულა

ამ წესის მიზანია შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის“ სასწავლო პროცესის სრულყოფის ხელშეწყობა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის მოტივაციის შემდგომი ამაღლების გზით.
ეს წესი შემუშავებულია, რათა მასში გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით უზრუნველყოფილი იყოს შესაფასებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის ნიჭის, უნარების, პიროვნული თვისებების, პოტენციალის, მოტივაციისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად ობიექტური და გამჭვირვალე შეფასება და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვა-დამკვიდრება.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში - **„კოლეჯი“**).

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – (შემდგომში -**„პროგრამა“**) ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი“ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გ) მასწავლებლების საქმიანობის შეფასების წესი (შემდგომში **„წესი“**)

დ) პროფესიული სტუდენტი ან მსმენელი - (შემდგომში - **„სტუდენტი/მსმენელი“**) პირი, რომელიც დადგენილი პროცედურების გავლის (პროფესიული ტესტირება, ან კოლეჯის შიდა ტესტირება, ან გასაუბრება, ან აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში დამატებით შიდა კონკურსი) და რანჟირების დოკუმენტში ასახვის შემდგომ ჩაირიცხა კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე.

ე) პროფესიული განათლების მასწავლებელი - (შემდგომში - **„მასწავლებელი“**) პირი, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სწავლებას კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე.

ვ) მასწავლებელთა საქმიანობის საბოლოო შედეგების განხილვისა და დაჯამების მიზნით შექმნილი მასწავლებლების საქმიანობის შეფასების კომიისია (შემდგომში - **„კომისია“**).

ზ) სასწავლო პროცესის მონიტორინგის ჯგუფი რომელიც ახორციელებს მასწავლებლ(ებ)ის ჩატარებული ლექცია/პრაქტიკულის შეფასება-მონიტორინგს და სასწავლო პროცესის მონიტორინგს - (შემდგომში - **„მონიტორინგის ჯგუფი“**) მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (შემადგენლობა: დირექტორი სასწავლო დარგში - ჯგუფის ხელმძღვანელი, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი).

თ) შ.პ.ს. „ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯის“ დირექტორი (შემდგომში - **„დირექტორი“**).

ი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული აქტი (შემდგომში - **„ბრძანება“**).

მუხლი 2. შეფასების დრო, პერიოდულობა, ეტაპები და განმახორციელებელი პირები

შეფასება მოიცავს 2 ეტაპს.

1. **პირველ ეტაპზე** - მასწავლებელთა შეფასება განხორციელდება მონიტორინგის ჯგუფის მიერ **შეფასების ფორმა №4-ით** (მასწავლებლის ჩატარებული ლექცია/პრაქტიკულის შეფასება მონიტორინგის ჯგუფის მიერ) და **შეფასების ფორმა №5-ით** (სასწავლო პროცესის მონიტორინგი).
2. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
3. მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმართავს, ასევე შეფასების ფორმა №4-ით და ფორმა №5-ით მიღებული შედეგების დაჯამებას და დაოქმებას ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე.
4. ფორმების შევსებისას მონიტორინგის გჯუფი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით.
5. ფორმების შევსებისას განსხვავებული აზრის დაფიქსირება მონიტორინგის გჯუფის წევრების მიერ ხორციელდება შეფასების ფომაზე შესაბამისი ჩანაწერის საშუალებით.
6. **მეორე ეტაპზე** - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ, ყოველი მიღების დასრულებამდე ერთი თვით ადრე, ასევე დასკვნითი შეფასების/გამოცდის მიმდინარეობისას განხორციელდება სტუდენტების/მსმენელების გამოკითხვა შეფასების ფორმა № 6-ის მიხედვით.

მუხლი 3. შეფასების ფორმები და მათი გამოყენების წესი

მასწავლებელთა საქმიანობის მაქსიმალურად ობიექტურად შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმა №4, 5 და 6

შეფასების ფორმა №4 (მასწავლებლის ჩატარებული ლექცია/პრაქტიკულის შეფასება მონიტორინგის ჯგუფის მიერ)

1. შეფასების ფორმა №4-ით შეფასებას პირველ ჯერზე ექნება სარეკომენდაციო ხასიათი. საბოლოო შედეგების განსაზღვრის მიზნით გამოიყენება მხოლოდ განმეორებითი შეფასებისას შევსებული შეფასების ფორმა №4. შეფასების ფორმა №4-ით განმეორებითი შეფასებისას კვლავ არასასურველი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში, მასწავლებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მესამედ განხორციელდება შეფასების ფორმა №4 -ის გამოყენება.
2. შეფასების ფორმა №4-ის გამოყენება შესაძლებელია მთელი სასწავლო წლის მიმდინარეობის მანძილზე.
3. შეფასების ფორმა №4-ის შევსებისას თუ არ არის შესაძლებელი შესაფასებელი უნარ-ჩვევის მყისიერი შეფასება, შესაფასებელი უნარ-ჩვევა ფასდება მთელი წლის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე.
4. შეფასების ფორმა №4-ით შეფასების დროსა და პერიოდულობას განსაზღვრავს:

ა) კოლეჯის დირექტორი

ბ) მონიტორინგის ჯგუფი

5. შეფასების ფორმა №4-ით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების ქულაა 107, მინიმალური -75

შეფასების ფორმა №5 (სასწავლო პროცესის მონიტორინგი)

1. შეფასების ფორმა №5-ის საშუალებით სასწავლო პროცესის შემოწმება შესაძლებელია მთელი სასწავლო წლის მანძილზე.
2. შეფასების ფორმა №5-ის გამოყენებით შესაძლებელია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მრავალჯერადი შეფასება.
3. შეფასების ფორმა №5-ით განსაზღვრული შეფასება - 25 ქულა მასწავლებელს მიეცემა მხოლოდ 3 დადებითის (დიახ) შემთხვევაში.
4. შეფასების ფორმა №5-ით მიღებული საბოლოო შედეგის დაჯამება ხორციელდება ყველა შევსებული ფორმა №5-ით მიღებული შედეგების გათვალისწინებით, კერძოდ: ა) მასწავლებლის მიერ მეტი რაოდენობით დაგროვებული დადებითი შეფასების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება <u>დადებითი შედეგი</u>, ბ) მასწავლებლის მიერ თანაბარი რაოდენობით დაგროვებული დადებითი და

უარყოფითი შეფასების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება <u>დადებითი შედეგი</u>, დ) მასწავლებლის მიერ მეტი რაოდენობით დაგროვებული უარყოფითი შეფასების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება <u>უარყოფითი შედეგი</u>.

5. შეფასების ფორმა №5-ით მიღებული საბოლოო დადებითი შედეგი ტოლფასია 25 ქულისა.
6. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შემოწმების უწყისის ფორმა №5-ის განმეორებით გამოყენება მოხდება:

ა) დირექტორის დავალებით;
ბ) პირველი შეფასებისას არასასურველი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში;
გ) სტუდენტების/მსმენელების დაბალი სწრებადობის მაჩვენებლის (50% და ნაკლები) შემთხვევაში;
დ) მონიტორინგის ჯგუფის გადაწყვეტილების შემთხვევაში;

შეფასების ფორმა №6 (მასწავლებლის შეფასება სტუდენტის/მსმენელის მიერ)

1. შეფასების ფორმა №6-ით ჯგუფში სტუდენტების/მსმენელების გამოკითხვას უზრუნველყოფს სასწვლო პროცესის მართვის მენეჯერი.
2. გამოსაკითხი ჯგუფები გამოვლინდება კენჭისყრის შედეგად. კენჭისყრის ჩატარების ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
3. შესაძლებელია კენჭისყრის გარეშე ყველა არსებული ჯგუფის გამოკითხვაც, რისც შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.
4. სტუდენტების/მსმენელების გამოკითხვა იწარმოებს ყველა არსებული მიმართულებიდან მინიმუმ თითი-თითო ჯგუფში შესაფასებელი მასწავლებლების სიის მიხედვით.
5. სტუდენტების/მსმენელების მიერ იმ მასწავლებლების საქმიანობის შეფასება, რომლებიც ვერ მოხვდებიან შესაფასებელთა პირველად სიაში განხორციელდება ამავე წესით იმ ჯგუფებში, რომლებშიც ასწავლიან ეს მასწავლებლები.
6. ჯგუფში გამოსაკითხთა მინიმალური რაოდენობაა სამი სტუდენტი/მსმენელი, მათგან ერთი - ჯგუფხელი. დანარჩენი ორი (მინიმუმ) გამოსაკითხი სტუდენტის/მსმენელის არჩევა ხორციელდება ჯგუფში ჩატარებული ღია კენჭისყრის საშუალებით.
7. შეფასების ფორმა №6-ით მიღებულ შედეგებს ოქმის სახით ინახავს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
8. შეფასების ფორმა №6-ით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების ქულაა 123, მინიმალური -86

მუხლი 4. მასწავლებლების საქმიანობის შეფასების მიზნით შექმნილი კომიისია

1. მასწავლებელთა საქმიანობის საბოლოო შედეგების განხილვისა და დაჯამების მიზნით შექმნილი კომიისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.
2. კომისიის შემადგენლობაში შედის მასწავლებლების ერთი წარმომადგენელი, რომელიც იმავდროულად არის ამ კომისიის თავმჯდომარე, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
3. საწყის ეტაპზე მასწავლებლების საქმიანობის შეფასების მიზნით შექნმილი კომიისის თავმჯდომარის (მასწავლებლების წარმომადგენელი) არჩევა განხორციელდება მასწავლებლების მიერ მასწავლებლების საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრის საშუალებით. შემდგომში მასწავლებლების საქმიანობის შეფასების მიზნით შექნმილი კომიისის თავმჯდომარე იქნება პირი, რომელიც მასწავლებლების საქმიანობის შეფასებისას დააგროვებს ქულების უმეტეს რაოდენობას.
4. კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
5. კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს მდივანს, რომელის შედეგების დაჯამების შემდგომ ახდენს სხდომის დაოქმებასა და დირექციისათვის მიწოდებას.
6. შედეგების დაჯამებისას კომისიის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.
7. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
8. კომისიის საქმიანობა აისახება კომისიის ოქმებში, რომელთაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
9. კომისიის სხდომა დახურულია.

10. კომისიის ყველა წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ შედეგების დამტკიცებამდე.
11. კომისიას შეფასების პირველ ეტაპზე შედგენილ ოქმებს და შევსებულ შეფასების ფორმებს (ფორმა №4 და 5) წარუდგენს კოლეჯის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი.
12. კომისიას შეფასების მეორე ეტაპზე შედგენილ ოქმებს და შევსებულ შეფასების ფორმა №6 წარუდგენს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

მუხლი 5. შეფასების შედეგების დაჯამება

1. შედეგების საბოლოო ქულების დაანგარიშება მოხდება შეფასების ფორმებით დაფიქსირებული ქულების დაჯამებით.
2. შეფასების პირველ ეტაპზე მიღებული ქულების რაოდენობას დაემატება შეფასების მეორე ეტაპზე მიღებული ქულები.
3. შეფასების ორივე ეტაპის შედეგების (დააგროვებული ქულების მეტი რაოდენობა) გათვალისწინებით გამოვლინდება წლის საუკეთესო 5 მასწავლებელი და მათ შორის ადგილები განაწილდება მიღებული ჯამური ქულების გრადაციის (უმაღლესი ქულა -1-ლი ადგილი) შესაბამისად.
4. შეფასებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, პირველ რიგში, უპირატესობა მიენიჭება მასწავლებელს, რომელმაც შეფასების ფორმა №4-ით დააგროვა ქულების უმეტესი რაოდენობა.
5. წინამდებარე წესის მუხლი 5, მე-4-ე პუნქტის გათვალისწინებით კვლავ თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მასწავლებელს, რომელმაც შეფასების ფორმა №5-ით დააგროვა ქულების უმეტესი რაოდენობა.
6. წინამდებარე წესის მუხლი 5, მე-5-ე პუნქტის გათვალისწინებით კვლავ თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მასწავლებელს, რომელმაც შეფასების ფორმა №6-ით დააგროვა ქულების უმეტესი რაოდენობა.
7. უარყოფით მაქვენებლად ჩაითვლება, როდესაც შეფასების პირველი და მეორე ეტაპის ჯამური ქულა არ აღემატება 161 ქულას.
8. უნარ-ჩვევა ფასდება არადამაკმაყოფილებლად მაშინ, როდესაც 50%-ზე მეტი შესაბამის უნარ-ჩვევას აფასებს უარყოფითად.

მუხლი 6. შედეგების განხილვა

1. შეფასების საბოლოო შედეგების გამოცხადება განხორციელდება შედეგების დაჯამების მომდევნო დღეს.
2. მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შედეგების აპელაცია (გაპროტესტება) შესაძლებელია შედეგების გამოქვეყნებიდან ორი დღის ვადაში გამპროტესტებლის მიერ მითითებულ ვადაში წარმოდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.
3. მასწავლებლის საქმიანობის შეფასების შედეგების აპელაციის შემთხვევაში გამპროტესტებლის მიერ წერილობითი განსხადებით წარმოდგენილი უნდა იქნას არგუმეტირებული მტკიცებულებები, რომლებიც კომისიას დაეხმარება ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ იქნება განხილული.
4. გამპროტესტებლის მიერ წარმოდგენილ წერილობით განაცხადს განიხილავს კომისია, რომლის შემადგენლობაშიც (გარდა მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების კომისიის წევრებისა) შევა კოლეჯის დირექტორი და იურისტი.
5. კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
6. კომისიას თავმჯდომარეობს დირექტორი, რომელიც ნიშნავს მდივანს. კომისიის მდივანი ახდენს სხდომის დაოქმებასა და გადაწყვეტილების დაინტერესებული პირ(ებ)ისათვის გაცნობას.
7. გადაწყვეტილების მისაღებად კომისიის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.
8. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
9. კომისიის საქმიანობა აისახება კომისიის ოქმებში, რომელთაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.
10. კომისიის სხდომა დახურულია.

მუხლი 7. მასწავლებლების საქმიანობის შეფასების შედეგების გამოყენება

1. უარყოფითი მაჩვენებლის გამოსასწორებლად და არადამაკმაყოფილებლად შეფასებული უნარ-ჩვევის გამოსასწორებლად პირს მიეცემა დრო მეორე შეფასების ჩატარებამდე. ამისათვის მას ექნება საშუალება კონსულტაციები გაიაროს საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებლებთან.
2. პირის მიმართ, რომლის მაჩვენებლები არ იქნება გამოსწორებული არც შემდგომი შეფასებისას გამოყენებული იქნება შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა.
3. პირი, რომელიც მიიღებს დადებით შეფასებას და დააგროვებს ქულათა უმეტეს რაოდენობას, ან გამოსასწორებელი ვადის გასვლის შემდგომ დადებს დადებით შედეგს წახალისდება წახალისების სხვადასხვა ფორმით:
   ა) მადლობის გამოცხადება;
   ბ) სიგელი;
   გ) საჩუქრით დაჯილდოვება;
   დ) ფულადი პრემია.

წასახალისებლად შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების ამსახველი სრული დოკუმენტაცია შეფასების დასრულების შემდეგ მასწავლებელთა საქმიანობის შფასების მიზნით შექმნილი კომისიის მდივნის მიერ შესანახად გადაეცემა არქივს, სადაც აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება მინიმუმ მომავალი შეფასების ჩატარებამდე.
2. წინამდებარე წესში ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი წინადადებების განხილვის შემდეგ მასწავლებლების, დირექციის/ადმინისტრაციის საერთო კრებაზე.
3. იმ შემთხვევაში როდესაც წარმოდგენილი წინადადება ითვალისწინებს წესის არასებით ცვლილებას (მაგ. შეფასების ფორმების შეცვლა ან/და გაუქმება) ის უნდა იყოს არგუმეტირებული და დასაბუთებული, რაც დირექციის/ადმინისტრაციის და მასწავლებლების საერთო კრებას დაეხმარება ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ იქნება განხილული.
4. წინადადებების განხილვა და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია დირექციის/ადმინისტრაციის და მასწავლებლების საერთო კრებაზე, კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით.
5. კენჭისყრის შედეგები დაფიქსირდება საერთო კრების ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კრების თავმჯომარე და მდივანი
6. კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა ხორციელდება საერთო კრების მიერ, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.